



**TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის

სხდომის ოქმი № 07 / 2017

თბილისი

07 თებერვალი 2017 წ.

სხდომა დაწყების დრო: 12.00
სხდომის დასრულების დრო: 13.00

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, პროფ. ხათუნა ქორიძე, ასოც. პროფ. რუსუდან დევნოზაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძე, ასოც. პროფ. ვლადიმერ ხუტაშვილი; ასოც. პროფ. ნინო ჟვანია, ასოც. პროფ. თამარ ვახტანგაძე, ასოც. პროფ. სერგო ციციხვაია, ასისტენტ-პროფ. მედეა დარასელია

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი, ზ. ენგოიანი, მ. გაბუნია
ლ. ხმელიძე

ქვორუმი: 16

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლ. ოზგაიძე

დღის წესრიგი:

1. ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი (რუსულენოვანი) პროგრამის სტატუსშეჩერებული სტუდენტის ისა ჯაფარლისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი (მომხ. პროფ. ილონა საყვარელიძე)
2. სტუდენტ ვუსალ ხუდიევისათვის ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების სახელმწიფო აღიარებისა და ჩაბარებული სასწავლო კრედიტების დადგენის მიზნით ჩატარებული გამოცდების საფუძველზე შედარების აქტის და დასკვნის შედგენა.

მოისმინეს: თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სტუდენტი ისა ჯაფარლი სწავლობს ჯანდაცვის

ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის მეორე კურსზე, ფინანსური დავალიანების გამო მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ამ ფაზად სტუდენტს დაწერილი აქვს განცხადება სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, რის გამოც მიზანშეწონილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენა.

მეორე საკითხთან დაკავშირებით პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სტუდენტი ვუსალ ხუდივეი თქუში ჩარიცხულია რექტორის ბრძანებით (№123/05, 11.10.2017). ის სწავლობდა ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო აზერბაიჯანის სასწავლო (ლიცენზირებულ) უნივერსიტეტში. სტუდენტმა სწავლის პერიოდში მოაგროვა სასწავლო კრედიტები იმ საგნებში, რაც გათვალისწინებულია დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით, ამასთანავე მას დაენიშნა გამოცდები სხვადასხვა საგნებში, რაშიც გამომცდელი პედაგოგებისგან მიიღო დადებითი შეფასება. ამასთანავე საჭიროა მის მიერ წარმოდგენილი აკადემიური ცნობის საფუძველზე საბჭომ შეადგინოს შედარების აქტი და დასკვნა, რაც გადაეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სახელმწიფო აღიარების მოპოვების მიზნით. (შედარების აქტი და დასკვნა თან ახლავს ოქმს დანათი 1-ის სახით).

აზრი გამოთქვა: პროფ. ხათუნა ქორიძემ, ასოც. პროფ. რუსუდან დევნოზაშვილმა

გადაწყვიტეს:

1. აღუდგეს სტუდენტის სტატუსი ისა ჯაფარლის 2017 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (რუსულენოვანი) პროგრამაზე;
2. უღიარდეს სტუდენტ ვუსალ ხუდივეს ლიცენზირებულ საგანმანათლებლო რეჟიმში გავლილი სასწავლო დისციპლინები 205 ECTS კრედიტის ოდენობით;
3. გაეგზავნოს საბჭოს მიერ შედგენილი შედარების აქტი და დასკვნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების სახელმწიფო აღიარების მოპოვების მიზნით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან პასუხის მიღების შემდეგ საბჭო დაუბრუნდეს აღიარების საკითხის განხილვას;
4. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ი.საყვარელიძე

ლ.ობგაიძე